მდგრადი ტურიზმის განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები კახეთის რეგიონში

ნელი ცქიტიშვილი, *ასოცირებული პროფესორი*

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: https://doi.org/10.52340/spectri.2023.08.02.16

აბსტრაქტი

კვლევის საგანს წარმოადგენს კახეთის რეგიონში მდგრადი განვითარების კონცეფციის გაანალიზება, იმის გააზრება, რომ ტურიზმის სფეროსათვის მდგრადი განვითარება წარმოადგენს ჩარჩოს, რათა შეიქმნას საერთო პრინციპები, მიდგომები, მეთოდები, ასპექტები, რომ ყველა ტიპის ტურიზმი გახდეს მდგრადი, რადგან მდგრადი ტურიზმი არ არის იზოლირებული ან განსაკუთრებული ფორმის ტურიზმი და ტურიზმის ყველა ფორმა უნდა მიილტვოდეს მეტი მდგრადობისაკენ. დანიშნულების ადგილის მართვის პროცესში გასათვალისწინებელია მდგრადობის სამკუთხედი, ანუ არსებული წონასწორობა გარემოს, ეკონომიკურ და სოციალურ საჭიროებებს შორის. მდგრადი ტურიზმის განვითარება განსაკუთრებულია, რადგან, როგორც საერთაშორისო მასშტაბით, ისე საქართველოში, ტურიზმის სფეროს უმეტესი საქმიანობა დაკავშირებულია ღირსშესანიშნაობებთან, ბუნებასთან, ისტორიულ და კულტურულ მემკვიდრეობასა და კონკრეტული ტერიტორიის კულტურულ მოდელთან.

ინფორმაციის შეგროვებამ და სტატისტიკის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მუდმივად იზრდება იმ ტურისტების რიცხვი, რომელთაც ძირითადად იზიდავთ ეკოლოგიურად სუფთა და გადაუტვირთავი ადგილები. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია კახეთის რეგიონში არსებული დაცული ტერიტორიების და მაღალმთიანი თუშეთის სოფლების ტურისტული პოტენციალის განვითარება, ტურისტული პროდუქტების გამრავალფეროვნება. მთიანი სოფლების მცხოვრებლებს აქვთ მცირე შემოსავლები და არ აქვთ ეკონომიკური

პერსპექტივები, მაშინ, როდესაც შესაძლებელია ტურიზმი მათთვის შემოსავლის წყაროდ იქცეს. ამ მხრივ, განვითარების ტენდენციები უკვე შეიმჩნევა.
დასკვნაში წარმოდგენილია ის კონცეფცია, რომ სოფლის ტურიზმის, აგროტურიზმის და ღვინის ტურიზმის სტიმულირება ხელს შეუწყობს რეგიონის ეკონომიკურ წინსვლას და სოფლის მოსახლეობის სოციალური დონის ამაღლებას. აგრეთვე, აღნიშნულია, რომ კახეთის რეგიონში სრულად არ არის ათვისებული და გამოყენებული სამკურნალო ტურიზმის შესაძლებლობები, მაგალითად, კურორტი „ახტალა“, რომლის სამკურნალო ტალახი, სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობის და სწორი მარკეტინგის შემთხვევაში, შესაძლოა იქცეს რეგიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვან შესაძლებლობად. იგივე ითქმის რეგიონში არსებულ თერმულ, სამკურნალო წყლებზე (მაგ. „აბანო“ თუშეთის გზაზე და სხვ.).

საკვანძო სიტყვები: კახეთი; მდგრადობა; ტურიზმი; დაცული ტერიტორიები.

Development trends and perspectives of sustainable tourism in Kakheti region.

Iakob Gogebashvili Telavi State University

Nelly Tskitishvili_ Associate Professor

The subject of research is to analyze the concept of sustainable development in the Kakheti region, to understand that sustainable development for the field of tourism is a framework to create common principles, approaches, methods, aspects to make all types of tourism sustainable, as sustainable tourism is not an isolated or special form of tourism, and all forms of tourism should strive for greater sustainability. In the destination management process, the triangle of sustainability should be taken into account, that is, the existing balance between environmental, economic and social needs. The development of sustainable tourism is special because, both internationally and in Georgia, most activities in the field of tourism are related to attractions, nature, historical and cultural heritage and the cultural model of a specific area.

The collection of information and the analysis of statistics showed us that the number of tourists who are mainly attracted to ecologically clean and uncongested places is constantly increasing. From this point of view, it is important to develop the tourist potential of the protected areas in the Kakheti region and the high-mountainous villages of Tusheti, and to diversify the tourist products. Residents of mountain villages have little income and no economic prospects, while tourism can become a source of income for them. In this regard, development trends are already visible.

The conclusion presents the concept that the stimulation of rural tourism, agrotourism and wine tourism will contribute to the economic progress of the region and raising the social level of the rural population. It is also noted that the opportunities of medical tourism in the Kakheti region have not been fully exploited and used, for example, the "Akhtala resort", whose healing mud, in case of proper infrastructure and proper marketing, may become an important opportunity for the economic and social development of the region. The same can be said about the thermal, healing waters in the region,(e.g. "Abano" on Tusheti road and others.)

Key words: Kakheti, sustainability, tourism, protected areas.

ტურიზმის ინდუსტრია მუდმივად ზრდას განიცდის, ამასთან ერთად, ვითარდება ინფრასტრუქტურა, რადგან ქვეყანაში ტურისტად შემოსულ ადამიანს კულტურული და ბუნებრივი ძეგლების მონახულებასთან ერთად, გამართული ინფრასტრუქტურა, სასტუმრო, ტრანსპორტი, კვების ობიექტები, გართობა, მაღალი კლასის მომსახურება სჭირდება. თუ ქვეყანა ცდილობს მცირე ვადებში ბიუჯეტის და მოსახლეობის შემოსავლების ზრდას და ის არ ფლობს ისეთ წიაღისეულ სიმდიდრეებს, როგორიცაა ნავთობი, ბუნებრივი აირი, რა თქმა უნდა, ტურიზმია ის დარგი, რომელიც მცირე დროში, სათანადო ღონისძიებების გატარების პირობებში, ქვეყანას და მის მოსახლეობას შესაძლებლობას აძლევს ტურიზმის ბიზნესით შემოსავლები გაზარდოს.

საქართველოში იკვეთება სამი ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა: დასაქმება, ფასების ზრდა და მოსახლეობის სიღარიბის დაძლევა. მიუხედავად სახელმწიფოს მიერ გატარებული სხვადასხვა ღონისძიებისა,

აგროსფეროს თუ ტურისტული ბიზნესის მხარდასაჭერად განხორციელებული ცალკეული პროგრამებისა, პროექტებისა, მოსახლეობის უმეტესობა კვლავ გაჭირვებულია, ეს განსაკუთრებით ეხება სოფლის მოსახლეობას. იმისათვის, რომ მოქალაქეებს სიღარიბის დაძლევაში დაეხმაროს, საკმარისი არ არის ერთჯერადი ან სისტემური სოციალური შემწეობები, საჭიროა ისეთი ბაზის შექმნა, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაზე იქნება გათვლილი და მოსახლეობას თვითდასაქმების და ეკონომიკური აქტივობების საშუალებას მისცემს. ამ ფონზე, ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებად მიგვაჩნია ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და მასში მოსახლეობის ჩართვა. ამისათვის საჭიროა თანმიმდევრული, სისტემური სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება. ტურისტულ პოლიტიკასა და დაგეგმვას საფუძვლად უნდა დაედოს მდგრადი, უსაფრთხო და ხარისხიანი განვითარების კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებს ქვეყანაში არსებული შეზღუდული რესურსების ეფექტიანი გამოყენების საფუძველზე ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევას.

ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის (UNWTO) მიერ რეკომენდებულია, რომ მდგრადმა ტურიზმმა უნდა:

1. მოახდინოს გარემოს რესურსების ოპტიმალური გამოყენება, რომელიც ტურიზმის განვითარების მთავარი ელემენტია; შეინარჩუნოს არსებითი ეკოლოგიური პროცესები და დაეხმაროს ბუნებრივი მემკვიდრეობის და ბიომრავალფეროვნების შენახვაში.
2. პატივი სცეს საზოგადოების თვითმყოფადობას, დაიცვას აშენებული და ცოცხალი კულტურული მემკვიდრეობა და ტრადიციული ღირებულებები; წვლილი შეიტანოს ინტერკულტურული კომპეტენციის და შემწყნარებლობის განვითარებაში.
3. უზრუნველყოს სიცოცხლისუნარიანი, გრძელვადიანი ეკონომიკური ოპერაციები; სამართლიანად განაწილდეს სოციო-ეკონომიკური სარგებელი ყველა მონაწილე მხარეებს შორის; მათ შორის სტაბილური დასაქმება, ფულის

გამომუშავება და სოციალური სერვისები, რაც სიღარიბის შემცირებისკენაა მიმართული.[I]

ტურიზმის ინდუსტრიის განვითარება და ამ მიმართულებით ადამიანების დასაქმება მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი რეგიონებისთვის, რადგან ტურიზმის განვითარებით სარგებელს იღებენ არა მხოლოდ სოლიდური ბიზნესის წარმომადგენლები, არამედ, სოციალურად შეჭირვებულ მოსახლეობასაც ეძლევა თვითდასაქმების შესაძლებლობა.

ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს, რა რესურსები გააჩნია კახეთის რეგიონს ტურიზმის, განსაკუთრებით - სოფლის ტურიზმის და ეკოტურიზმის მდგრადი განვითარების თვალსაზრისით, მის ამოცანას კი წარმოადგენს არსებული ვითარების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება, თუ რა ღონისძიებები უნდა გაატარონ ადგილობრივმა თვითმმართველობებმა და რეგიონულმა „დმო“-მ მდგრადი ტურიზმის განვითარების მყარი საფუძვლის შესაქმნელად.

ნაშრომის აქტუალობა იმაში მდგომარეობს, რომ თვალსაჩინოა ტურიზმის ეკონომიკური ზემოქმედება, მისი გავლენა სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით, რაც რეგიონებში ტურიზმის მდგრადობისა და განვითარების პერსპექტივების კვლევების გაღრმავების აუცილებლობას განაპირობებს. ეს კი შესაძლებლობას გვაძლევს არსებული ვითარება კომპლექსურ ჭრილში განვიხილოთ, რათა გადაწყდეს ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური გაძლიერების, ბუნებრივი რესურსებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები.

ტურიზმის მდგრადი განვითარების კონცეფცია განსაკუთრებით განვითარდა გაეროს კონფერენციის შემდეგ (რიო-დე-ჟანეირო, 1992), რომელიც მიეძღვნა გარემოს დაცვასა და განვითარებას, რის საფუძველზეც შემუშავდა სამოქმედო გეგმა „დღის წესრიგი“ (პროგრამა 21) და მისი განხორციელებისათვის მდგრადი განვითარების მსოფლიო სამიტზე (იოჰანესბურგი, 2002), შედეგად, გამოიკვეთა მდგრადი განვითარების სამი საფუძველი:

• **ეკონომიკური მდგრადობა** - ეფექტიანი ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც უზრუნველყოფს სარგებლის გენერირებას საზოგადოების სხვადასხვა დონეზე და კეთილდღეობას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, საწარმოების და საქმიანობის სიცოცხლისუნარიანობა და ამ უნარის შენარჩუნება გრძელვადიან პერსპექტივაში.

• **სოციალური მდგრადობა** - რაც ნიშნავს, ადამიანის უფლებების პატივისცემას და საზოგადოების ყველა წევრისათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას, რისთვისაც საჭიროა სარგებლის სამართლიანი გადანაწილება და ფოკუსირება სიღარიბის აღმოფხვრაზე, ყურადღების გამახვილება ადგილობრივი მოსახლეობის გაძლიერებასა და მხარდაჭერაზე, განსხვავებული კულტურისა და ფასეულობების აღიარება და პატივისცემა ნებისმიერი სახის ექსპლუატაციის თავიდან აცილების მიზნით.

• **ეკოლოგიური მდგრადობა** - რაც ნიშნავს, ბუნებრივი რესურსების, განსაკუთრებით კი არაგანახლებადი და სიცოცხლისათვის აუცილებელი რესურსების შენარჩუნებასა და დაცვას, შესაბამისი ზომების მიღებას ჰაერის, წყლისა და ხმელეთის დაბინძურების მინიმუმამდე შემცირებისათვის, ბიოლოგიური მრავალფეროვნების და ბუნებრივი მემკვიდრეობის შენარჩუნებისათვის.

შიდა ტურიზმის, ისევე როგორც საერთაშორისო ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ჩვენს რეგიონში სოფლის ტურიზმის, აგროტურიზმის და ღვინის ტურიზმის განვითარების სტიმულირება. ამ მიმართულებით საჭიროა ადგილობრივი თუ უცხოური დამსვენებლის მისაღებად, სოფლის მოსახლეობის ტრადიციული საცხოვრისის მომზადება, მათი მფლობელების დატრენინგება მომსახურეობის ხარისხის ამაღლებისა და ადგილობრივი ღირშესანიშნაობების უკეთ წარდგენის მიზნით. რას ვგულისხმობთ სტიმულირებაში მდგრადობის კონტექსტში, - ეს არის კომპლექსური მიდგომების საჭიროება: პირველ რიგში, სოფლის მოსახლეობის სტუმარმასპინძლობის სფეროში განათლების დონის ამაღლებით დაწყებული, ფინანსური ხელმისაწვდომობით

გაგრძელებული. მოქალაქეებმა, ხშირ შემთხვევაში არ იციან, რა შესაძლებლობებს სთავაზობს მათ სახელმწიფო, კერძო ბიზნესი თუ არასამთავრობო სექტორი ტურისტული ბიზნესის წამოსაწყებად; ამას ერთვის პროექტების მოძიების და დაწერის შეზღუდული უნარ-ჩვევები, უჭირთ პირველი ნაბიჯების გადადგმა და უკვე არსებული ტურისტული პროდუქტის მარკეტინგი. ამ უნარების გაძლიერება ხელს შეუწყობს სოფლის ტურიზმის განვითარებას და მოსახლეობის სოციალურ მდგრადობას. ცნობიერების და განათლების ამაღლებაში იგულისხმება ისიც, რომ აუცილებებლია მოსახლეობას ჰქონდეს გაცნობიერებული ხარისხის მნიშვნელობა. ხარისხის სტანდარტის ამაღლება როგორც სტუმრის მომსახურებაში, ისე საკუთარ მეურნეობაში პროდუქტების მოყვანის დროს. საჭიროა მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარება, რომელიც იქნება ეკომეგობრული, რომ არ იყოს გამოყენებული შხამქიმიკატები არც ხილ-ბოსტნეულის და არც ყურძნის მოყვანისას, რომ ნატურალური პროდუქტების მოყვანა გახდეს კონკურენტუნარიანი.

როგორ შევქმნათ ხარისხიანი ტურისტული პროდუქტი - ამ საკითხებზე უფრო მიზანმიმართულად უნდა მუშაობდეს როგორც საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, ისე რეგიონებში არსებული „დმო“-ები (დანიშნულების მართვის ორგანიზაციები), თუმცა, კახეთის რეგიონში ამ მიმართულებით ამ ორგანიზაციის საქმიანობა არასაკმარისია. არადა, მისი მიზნებიდან გამომდინარე, სწორედ „დმო“ უნდა უწევდეს კოორდინაციას ადგილობრივი მოსახლეობის, კერძო ბიზნესის და ხელისუფლების ჩართულობას, ეს იქნება ტრენინგის ფორმატი, გამოცდილების გაზიარება, ტურისტული ბიზნესის საჭიროებების კვლევა, ტურისტული ბილიკების ერთიანი რეესტრის შექმნა და სხვ.

კახეთის რეგიონს, მაღალმთიანი თუშეთის სახით, სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების დიდი შესაძლებლობები გააჩნია, ეს კი ხელს შეუწყობს მისი სოფლების ტურისტული პოტენციალის განვითარებას. მთიანი სოფლების მცხოვრებლებს აქვთ მცირე შემოსავლები და არ აქვთ ეკონომიკური პერსპექტივები, მაშინ, როდესაც შესაძლებელია ტურიზმი მათთვის დასაქმების და შემოსავლების ზრდის წყაროდ იქცეს. ხშირ შემთხვევაში, ადგილობრივი

მოსახლეობა ფლობს თაობათა მიერ დაგროვილ მნიშვნელოვან პრაქტიკულ ცოდნას საკუთარ რეგიონზე (კულტურა, ტრადიცია, სამზარეულო, ფლორა, ფაუნა) ტურისტული ბიზნესისთვის საჭირო თეორიული ცოდნის მიღების შემდეგ, ისინი შეიძლება ჩამოყალიბდნენ წარმატებულ გიდებად და გამყოლებად, აგრეთვე დაკავებულ იქნენ უშუალოდ ეკონომიკური საქმიანობათაც, რაც დაკავშირებულია სასტუმროს, რესტორნების ექსპლუატაციასა და სხვა ტურისტულ მომსახურებასთან. თუშეთში ვიზიტისას დავრწმუნდით, რომ შეიმჩნევა ადგილობრივი თემის გამოცოცხლება ამ მიმართულებით, მომრავლდა საოჯახო სასტუმროები, ცდილობენ წინ წამოწიონ ნატურალური პროდუქტები - მათი საფირმო „გუდის ყველი“, რძე, ხაჭო, მაწონი, ე.წ. კოტორები, ლუდი, თაფლი, ხალხური რეწვის საუკეთესო ტრადიციები - ნატურალური მატყლით მოქსოვილი წინდები, ჩითები, ხელით ნაქსოვი ხალიჩები, თექის ნიმუშები და სხვ. აგრეთვე, ფეხს იკიდებს ადგილობრივი გიდების მიერ მოწყობილი საცხენოსნო თუ საფეხმავლო ლაშქრობები, ფესტივალები. კარგი იქნება, თუ ამ ყველაფერს პროფესიული უნარ-ჩვევებიც დაემატება, ამით გაიზრდება მომსახურების ხარისხიც. მნიშვნელოვანია ისეთი რესურსის გამოყენება, როგორიცაა ადგილობრივი ჯიში - „თუშური ცხენი“, რომელსაც პოპულარიზაცია სჭირდება. ამ ფაქტორის წამოწევა კიდევ უფრო განავითარებს საცხენოსნო ტურიზმს.

კახეთში მკვიდრდება საფესტივალო ტრადიციები, რაც ტურიზმის განვითარებაში დიდ როლს თამაშობს. სტუმრები ინტერესით მონაწილეობენ გასტროფესტივალებში, როგორიცაა „ღვინის“, „ჭაჭის“, „ყველის“ ფესტივალები, „თელავინო“ და სხვა მნიშვნელოვანი ფესტივალები, სადაც მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის პროდუქტების-ღვინის, არყის, ყველის, ჩურჩხელის და ჩირების, აგრეთვე ხალხური რეწვის ნიმუშების, თექის და ფერწერული ტილოების გამოფენა-გაყიდვა, მათი პოპულარიზაცია. ტრადიციული გახდა თელავის კლასიკური მუსიკის ფესტივალი, რომელშიც მსოფლიოს ცნობილი მუსიკოსები მონაწილეობენ;

მკვიდრდება, აგრეთვე, წინანდლის საერთაშორისო ფესტივალი; მნიშვნელოვანია სხვადასხვა ადგილობრივი ეროვნული თუ რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნა. აგროტურიზმის თვალსაზრისით როდესაც ვპოზიციონირებთ როგორც ღვინის ქვეყანა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ვართ აგრეთვე, ხორბლის ქვეყანაც, მარტო ის რად ღირს, რომ ხორბლის 5 ენდემური სახეობა მივეცით კაცობრიობას.

ტურისტული ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით აუცილებელია გაიზარდოს ინვესტორთა დაინტერესება, რეგიონის ტურისტული რესურსების არსებული ფაქტორებით, ბუნებრივი ძეგლების, სამკურნალო რესურსების (ახტალის ტალახი, მინერალური სამკურნალო წყლები) ფართოდ რეკლამირებითა და პრომოუშენით, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო დონეზე. შიდა ტურიზმის კიდევ უფრო განვითარება ხელს შეუწყობს რეგიონის ეკონომიკურ წინსვლას. შიდა ტურიზმის განვითარების მნიშვნელობა კარგად გავიაზრეთ პანდემიის დროს, როდესაც მხოლოდ მან ჩაბერა სული უმძიმეს ვითარებაში ჩავარდნილ ტურიზმის ბიზნესს.

ტურიზმის განვითარების საწყისი ეტაპის გავლის შემდეგ, როდესაც დანიშნულების პუნქტი შედარებით პოპულარული ხდება, აქტიურდება ტურიზმის მდგრადი განვითარების ფაქტორი, რადგან ვიზიტორთა ნაკადები სულ უფრო მეტად იწყებს გარემოზე ზემოქმედებას. ტურიზმის განვითარების სწორი სტრატეგია გარემოსთან მიმართებაში რეგიონში უზრუნველყოფს გაცილებით უვნებელ ეკოლოგიურ ატმოსფეროს, ვიდრე ეკონომიკის სხვა დარგი, რადგან ტურიზმის მდგრადი განვითარება გულისხმობს გარემოს დაცვას.

კახეთის რეგიონი მდიდარია დაცული ტერიტორიებით, აქედან გამომდინარე, მდგრადობის თვალსაზრისით, დიდი პერსპექტივა აქვს ეკოტურიზმის განვითარებას. თუშეთის ეროვნულ პარკში მდებარეობს დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციული შენობა, სადაც ასევე განთავსებულია სასტუმრო ნომრები, კაფეტერია და ვიზიტორთა ცენტრი საგამოფენო დარბაზით, საკონფერენციო დარბაზი, საინტერპრეტაციო და საინფორმაციო დაფები.

ადმინისტრაციაში ვიზიტორებს საშუალება აქვთ დაგეგმონ სხვადახვა სახის ტურები და მიიღონ ინფორმაცია არსებული სერვისების შესახებ. ასევე შესაძლებელია გიდის, ცხენის ან ტურისტული აღჭურვილობის დაქირავება. თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე ფუნქციონირებს 11 ტურისტული მარშრუტი, რომლებიც თუშეთის უნიკალური ისტორიულ-კულტურული და ბუნებრივი ლანდშაფტების უდიდეს ნაწილს მოიცავს.

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების სიახლოვეს ვითარდება ტურისტული ინდუსტრია, გაჩნდა სხვადასხვა ტიპის განთავსების ობიექტები, სადაც ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობაა დასაქმებული. ადგილობრივების სარგებელი კიდევ ის არის, რომ ისინი ტურისტებზე ჰყიდიან საკუთარ პროდუქციას: რძის ნაწარმს, ღვინოს, ჩურჩხელას, ჩირებს, აქირავებენ ოთახებს, ცხენებს, მონაწილეობენ ექსკურსიებში... ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ცენტრალური შესასვლელი ინტეგრირებულია ადმინისტრაციულ და ვიზიტორთა კომპლექსთან. ადმინისტრაციულ კორპუსში მოწყობილია საექსპოზიციო და საპრეზენტაციო დარბაზი, სადაც ვიზიტორს შესაძლებლობა ეძლევა გაეცნოს ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების სპეციფიკას, ტარიფებს, უსაფრთხოების წესებს და არსებული ტურისტული მარშრუტებიდან მისთვის სასურველი აირჩიოს.

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ტურისტული მარშრუტების ქსელი ერთი და მრავალდღიანი ლაშქრობების ფართო არჩევანს იძლევა. ბილიკები მარკირებული და კეთილმოწყობილია. ბილიკების გასწვრივ მოწყობილია ბუნგალოები, საპიკნიკე და საკემპინგე ადგილები. ასევე გამოყოფილია ადგილები ცეცხლის დასანთებად. ეროვნული პარკი ვიზიტორებს სალაშქრო, გეოლოგიურ, ველო, ფოტო, კულტურულ, საფარი და საგანმანათლებლო ტურებს სთავაზობს. ბაწარისა და ბაბანეურის ნაკრძალში შესვლა ნებადართულია მხოლოდ საგანმანათლებლო, არამანიპულაციური სამეცნიერო კვლევისა და მონიტორინგის მიზნით. ლაგოდეხის აღკვეთილში მოწყობილია თვალწარმტაცი, უსაფრთხო და ინფორმატიული ხუთი ტურისტული მარშრუტი, კერძოდ: ,,როჭოს ჩანჩქერი“, ,,ნინოსხევის ჩანჩქერი“, ,,მაჭის ციხე“, ,,შავი კლდეების ტბა“ და „ბუნების შემეცნების ბილიკი“.

მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალი ცივ-გომბორის ქედის სამხრეთ კალთებზე, ქ. საგარეჯოს ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს, სოფ. ანთოკის ჩრდილოეთით მდებარეობს. მისი საერთო ფართობია 1022,5 ჰა-ს შეადგენს. მარიამჯვრის ნაკრძალის შექმნას საფუძვლად კავკასიის რელიქტის - სოსნოვსკის ფიჭვის ხელუხლებელი ლანდშაფტების დაცვა-შენარჩუნება დაედო. მათი ანალოგი არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც არ მოიპოვება.

ჭაჭუნას აღკვეთილი საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვარზე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მდებარეობს. აღკვეთილი ძირითადად არიდული და სემიარიდული ტიპის ფლორითა და ფაუნითაა წარმოდგენილი. ჭალის ტყეებისა და არიდულ-სემიარიდული სისტემებისათვის დამახასიათებელი ლანდშაფტებისა და მცენარეულობის ერთობლიობა აღკვეთილის ფაუნის მრავალფეროვნებას უწყობს ხელს. აქვე მოწყობილია ე.წ. „სამზირები“ ფრინველებზე დასაკვირვებლად. [II]

როდესაც მდგრადობაზე ვსაუბრობთ, არ უნდა გამოგვრჩეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა უსაფრთხოება. განსაკუთრებით ეს ეხება სათავგადასავლო ტურებს მაღალმთიან ადგილებში და დაცულ ტერიტორიებზე, სადაც განთავსებული უნდა იყოს გამაფრთხილებელი ფირნიშები მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. თუშეთის გზა, ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო გზად არის აღიარებული და აქ არცთუ იშვიათია უბედური შემთხვევები, რომელთა აცილება შესაძლებელია უსაფრთხოების მკაცრი სტანდარტების დანერგვით და დაცვით.

დასკვნის სახით იმის თქმა შეიძლება, რომ ტურიზმის დადებითი ეკოლოგიური ეფექტის მისაღებად საჭიროა დარგის განვითარების სტრატეგიის ზედმიწევნით სწორად დაგეგმვა და კონტროლი, ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობა და მეტი ჩართულობა, რაც ტურიზმის მდგრადი განვითარების საწინდარი იქნება.

მდგრადი ტურიზმი სამ ძირითად პრინციპს ეფუძნება: პირველია ხარისხი; მდგრადი ტურიზმი ვიზიტორებისთვის ხარისხიან გამოცდილებას უნდა უზრუნველყოფდეს, მასპინძელი საზოგადოების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასთან და გარემოს ხარისხის დაცვასთან ერთად; მეორე ძირითადი

პრინციპია უწყვეტობა - მდგრადი ტურიზმი იმ რესურსების უწყვეტობას ითხოვს, რომელსაც ტურიზმი ეფუძნება; ასევე მასპინძელი საზოგადოების კულტურის უწყვეტობას და ვიზიტორთა მხარდაჭერის ან ტურისტების მოთხოვნების უწყვეტობას. და ბოლოს, მდგრადი ტურიზმი ბალანსსაც გულისხმობს. სწორედ ტურიზმი აბალანსებს მასპინძლის, სტუმრის და მიმღები გარემოს საჭიროებებს.

სოფლის ტურიზმს მდგრადი განვითარებისთვის სჭირდება კომპლექსური მიდგომა: აუცილებელი ღონისძიებების გატარება - ცოდნის დეფიციტის აღმოფხვრიდან დაწყებული, ფინანსური ხელმისაწვდომობით დამთავრებული; უნდა შეიქმნას მინი სტრატეგიული განვითარების გეგმები ყველა მუნიციპალიტეტში, ცალკეული სოფლებისათვის; მოსახლეობისთვის შეთავაზებული უნდა იქნას მცირე ბიზნეს-გეგმები; ადგილობრივმა „დმო“-მ უნდა უზრუნველყოს სოფლის ტურიზმის განვითარებით დაინტერესებული მოსახლეობის, კერძო ბიზნესის და ხელისუფლების ჩართულობის კოორდინაცია, ეს იქნება ტრენინგის ფორმატი, გამოცდილების გაზიარება, ტურისტული ბიზნესის საჭიროებების კვლევა, ტურისტული ბილიკების ერთიანი რეესტრის შექმნა და სხვ.

ტურიზმის მდგრადობისთვის მნიშვნელოვანია ტურისტული პროდუქტების გამრავალფეროვნება და გართობის ინდუსტრიის განვითარება - ეს ფაქტორები, მომსახურების ხარისხთან ერთად, რჩება კახეთის რეგიონის აქტუალურ და დროულად გადასაჭრელ პრობლემად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.https://www.unwto.org/

2. https://apa.gov.ge/ge/